იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

შაბათი 28 ივნისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 91 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 91

დამწუხრებული ჭირისუფალნი ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ, რომ უდროვოთ გადაცვალებულის

დიმიტრი ივანეს ძის აბაშიძის

(ყოფილი ჭიათურის ნატარიუსი) ერთი წლის წირვა, პანაშვიდი და გამოტირილი დანიშნულია სამშაბათს, 1 კვირკობისთვეს, დილის 10 საათზე, სოფ. სავანეში წმ. გიორგის ეკლესიაზე.

პოლკოვნიკი ბესარიონ ეგნატეს ძე იოსელიანი შვილებით, ძმით, ძმისწულებით და სიძეებით, დავით გიორგის ძე კეჭერაძე დებით, ძმებითა და სიძეებით გაუწყებენ რა გარდაცვალებასა პირველი უსაყვარლესის მეუღლის, ხოლო დანარჩენნი ძვირფასი დის

ელენა გიორგის ასულისას,

უმორჩილესათ გთხოვენ დაესწროთ მიცვალებულის გასვენებაზე კვირას, 29 ივნისს, ნაშუადღევის ხუთ საათზე, გამოსვენება მიცვალებულისა მახვილაძის სახლიდან, ბალახვანის ქუჩა საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს შვიდ საათზე.

კვირას, 29 ივნისს, ზუგდიდის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი უეცრად გადაცვალებულის

სამსონ ალექსის ძის კეიდიას

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის უპატრონოთ დარჩენილი ცოლ-შვილი: კატო ქაიხოსრო ქუთათელაძის ასული და საშა და თამარ კეიდიები.

ექიმის იკ. ბოკერიას

სააავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

ქუთაისი
პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დილით.

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოკტორი ვ. პ. **მოსეშვილი** შინაგანი და ნევრების.

ბ. ა. **მირაქოვი**—ყელის, ცხვირის, ყურისა.	1—2
გ. ს. **ნადირაძე.**—შინაგანი და ბავშის	10—11
ა. ა. **რელიგიონი**—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე	11—2
მ. დ. **ბეთანოვი.**—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
გ. ა. **ჭოლოშვილი**—საბებ., ქალთა და შინაგ.	12¹/₂2მ

საღამოთ.

გ. ლ. **ქორქაშვილი**—თვალის ხუთშაბათობით	4¹/₂—5¹/₂
გ. ა. **ჭოლოშვილი**—საბებიო, ქალთა და შინაგ.	5¹/₂—6/

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი

მევენახეთა საყურადღებოთ

ძმა ქორქოლაძეების მაღაზიაში

ქუთაისი, მიხაილოვის ქუჩ. საკ. სახლი.

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი **ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.**

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.



მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი **ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.**

ქალაქის თეატრი

კვირას, 29 ივნის, **გრიგოლ ვეშაპიძე**

ლექციას

წაიკითხავს

არჩილ ჯორჯაძის

ფილოსოფიური შეხედულებანი

ლექციის შემდეგ გაიმართება

კამათი

დასაწყისი დილის 12 საათზე. ✕✕✕ ადგილების ფასი სახალხოა.

მუშაობს
ხრესილის მადნეული წყლის
ძმ. ყორყოლაძეების
სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის ,,სტანცია სერნია ვოდის‘‘

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების მადნეული წყლის
აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კურსების აბანო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეთი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმი ბ. ა. **მირაქოვი** დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

დილის 9 ს.—12 ს., საღ. 5—8.

ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ექიმი **ა. მ. ასათიანი** ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

საღვთო სჯულის მასწავლებელთა

საყურადღებოთ.

ქუთაისში, გ. გალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული საღვთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. აბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმვოლო სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებაზე მდიდრულათ არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომეტებული მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 აბაზათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ვურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.

სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვაგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

მე-3 ხარისხის მოსამზადებელ

სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ხოჯოლავასი.

ექიმი **ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოში. მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

ჩვენი პრესა.

გაზეთი ,,აზრი‘‘ ვანო მაჩაბლის ხსოვნას ეხება და შემდეგს ამბობს:

გუშინ შესრულდა 16 წელიწადი მას აქით, რაც ქართველთ ცხოვრებაში მოხდა ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი—უგზო-უკვლოთ დაიკარგა საზოგადო მოღვაწე ვანო მაჩაბელი.

16 წელიწადია ეს ფაქტი ყველასათვის საიდუმლოებითაა მოცული და ვინ იცის კიდევ სანამდი იქნება ასე, ვინ იცის როდის მოეფინება ამ ბნელ საქმეს დღის სინათლე.

ვინ ჩაიდინა ეს ვერაგობა, ვინ მოსტაცა ქართველ საზოგადოებას ეს დიდათ ნიჭიერი და თავდადებული მოღვაწე? ეკითხები შენს თავს და ვერსაიდან პასუხს ვერ ღებულობ.

მესმის, როცა ასეთ მდგომარეობაში ხარ ძველ წარსულ საუკუნოებში მცხოვრებ პირთა შესახებ, მაშინ მეტი ობიექტივობა გებადება ადამიანს, უფრო მშვიდობიანათ ხარ ასეთი კითხვების დასმისას. მარა სულ წინააღმდეგს განიცდი, როცა გუშინდელ მოღვაწის ბედი ვერ გაგიგია.

ხედავ იმ პირებს, რომელნიც ვანო მაჩაბელთან ერთად მოღვაწეობდენ; თითქმის ყოველდღე ხვდები მისი კერძო და საზოგადო ცხოვრების ცოცხალ მოწმეთ: აქ არ გჭირდება მკვდარი მასალების ათასჯერ აწონ-დაწონვა, აქ საჭირო არაა იეროგლიფების წასაკითხათ იმტვრიო თავი. არა, შენს წინაშე ცოცხალი ადამიანები დგანან, მეტყველი არსებანი არიან, მაგრამ... ყველა ასე გეუბნება:

— არ ვიცი, ვერას გეტყვი ამ ფაქტის შესახებ, იყო ვანო მაჩაბელი და უცებ გაქრა, მხოლოდ ეს შემიძლია გითხრა, სხვა კი არ ვიცი, არ ვიცი...

გაზეთის შენიშვნა სამართლიანად მიგვაჩნია. თუ მართლა არიან ისეთი პირები, რომელთაც იციან ვანო მაჩაბლის ბედის ამბავი, თექვსმეტი წელიწადი უკვე სრული საბუთია ამ ამბების გამომჟღავნებისა. ქართველმა საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რა დაემართა მის ერთ საუკეთესო წარმომადგენელს.

ქუთაისი.

ახალი ამბავი.

ქალაქის გამგეობამ თფილისის სამოსამართლო პალატისაგან მიიღო აღმასრულებელი ფურცელი შესახებ იმისა, რომ ქალაქის ყოფილ მოიჯარადრეს გიორგი გუჯაბიძეს დაატოვებინონ მის მიერ მითვისებული ქალაქის ადგილი. ეს საქმე 10 წლის განმავლობაში წარმოებდა. სასამართლომ საქმე გუჯაბიძის სასარგებლოთ გადასწყვიტა, მაგრამ სამოსამართლო პალატამ ეს დადგენილება გააუქმა და ადგილი ისევ ქალაქს მიასაკუთრა.

✦ თფილისის სააბრეშუმო სადგურის წარმომადგენელი აგრონომი ბ. იოსებ ქუთათელაძე 26 ივნისს ქუთაისიდან პროვინციებში გაემგზავრა,—აბრეშუმის პარკის მწონელი კომისიის მოქმედების სარევიზიოთ.

✦ ორშაბათს, 30 ივნისს, ქალ. თვით. დარბაზში შესდგება. ქალაქის საბჭოს მორიგი კრება. კრებაზე შემდეგი საყურადღებო საგნებია გასარჩევი: 1) ქალაქის გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ოჯახური წესით შეადგინონ ქალაქის მუნიციპალური საქმეების პროექტები და ხარჯთაღრიცხვანი, რომელიც საჭიროა განზრახული ობლიგაციური სესხის დასასაბუთებლათ. 2) ქალ. გამგეობის მოხსენება ხორცის ნიხრის შემცირების შესახებ; 3) მეფურნეების თხოვნა პურის ნიხრის მომატების შესახებ; 4) საბაკალეინო და საწვრიმალო საქონლის მოვაჭრეთა თხოვნა ნორმალური დასვენების არსებული სავალდებულო დადგენილების ზოგიერთი მუხლის შეცვლის

შესახებ; 5) სამხრეთ-რუსეთში ქარიშხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შემოწირულობათა შემკრები კომიტეტის თხოვნა,—ნივთიერი შემწეობის აღმოჩენის შესახებ და სხვა. სულ გასარჩევია 28 საქმე.

◆ ქიათურიდან მაისის თვის განმავლობაში გაუზიდავთ სულ 7,060,250 ფუთი შავიქვა.

◆ 24 ივნისს, დღით 2 საათზე, ბალახვანის ქუჩაზე ობოლაძის სამჭედლოში შესულან ვიღაც ბოროტგამზრახველები. მათ საფულე ყუთი გაუტეხიათ და იქიდან ხუთი მანეთი ფული და სხვა ნივთებიც წაუღიათ. ამ საქმეზე პოლიციამ დააპატიმრა ორი პირი: კეპულაძე და ვაშალაძე.

◆ 26 ივნისს, ქუთ. განყოფილების წერ. კით. გამავ. საზოგადოების სხდომა მოხდა. გამგეობამ ნესტორ მელიაძის თხოვნა, სოფ. სამებაში (გურია) წიგნსაცავ-სამკითხველოს გახსნის შესახებ არ დააკმაყოფილა. აგრეთვე დაადგინეს სოფ. ბაში სამკითხველოს გახსნის ნებართვა სეკტემბრამდი შეაჩერონ. ამ უკანასკნელი სამკითხველოს შესახებ გამოძიება იქნება.

◆ საგანგეებო გამომძიებელმა ზოლოტინსკიმ დაასრულაა საოლქო სასამართლოში გამოძიება 25 აპრილს მომხდარ საქმისა და თფილისს გაემგზავრა. ამ საქმისთვის რამდენიმე მოხელე კიდეც დაითხოვეს და როგორც ამბობენ, პასუხის გებაში მისცეს.

დღეს მომრიგებელ მოსამართლესთან მოხდება საჯარო ვაჭრობა ისმაილ გოგოლაშვილის მოძრავი ქონებისა, რომელიც შეიცავს ოჯახის ავეჯეულობას და შეფასებულია 30 მანეთად. ამ ფულით უნდა დაკმაყოფილდეს ქუთ. საურთიერთო ნდობის საზოგადოება.

◆ **ოზურგეთი.** შაბათსა და კვირას ადგილობრივ ახალ თეატრში გამართავს ორ წარმოდგენას თფილისის ქარ. დრ. დასი ვალერიან გუნიას მეთაურობით. რეპერტუარი „მუშის პატიოსნება“ ზუდერმანის და „ოჯახის გაუბედურება“. ნაწილი შემოსავლისა გადადებული იქნება ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ.

◆ 30 ივნისს ქუთ. სათ. აზ. საადგილმამულო ბანკში შესდგება მეორე საჯარო ვაჭრობა ქუთაისის გუბერნიის, ბათუმისა და სოხუმის ოლქის სოფლების მამულებისა.

◆ სანიტარმა ჩავჩანიძემ გუშინ პუშკინის ქუჩაზე ოქმი შეუდგინა მოვაჭრე ებრაელს მარდახ მაწონაშვილს სანიტარული წესის დარღვევისათვის.

ამ ბოლო ხანს რაჭა-ლეჩხუმიდანაც შემოდის აბრეშუმის ჭიის პარკი. იქაური პარკი ქუთაისის მაზრის პარკზე ღირსებით ბევრათ აღემატება.

◆ 27 ივნისს ქუთაისის ბაზარზე მჭადის ფქვილი ფუთი 7 აბაზათ ფასობდა.

◆ ქალაქის გამგეობამ მესხეთის ქუჩაზე მოიჯარადრე წვრილ მედუქნეებს აცნობა, რომ, თუ ისინი ამ დღეებში საიჯარო ფულს არ წარმოადგენენ, იმ შემთხვევაში, იმათ ვაჭრობა აეკრძალებათ.

◆ 26 ივნისს პეტერბურგის ბირჟაზე ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 79 მანეთად ფასობდა.

◆ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებიდან მაისის განმავლობაში გაუზიდავთ საზღვარგარეთ სულ 6,999,104 ფუთი შავი ქვა.

◆ ამ ავდრებს შემდეგ, ქუთაისში პარკის შემოსვლამ კვლავ იმატა. ყოველ დღე 400 ფუთამდი იწონება. 27 ივნისს პირველი ხარისხის პარკი 21 მან. გადიოდა; მეორესი 20 მ. და 10 შ. და მესამესი კი 19 მან.

◆ დ. ხონში პარკი პირველი ხარისხის 20 მან. და 10 შ. ფასობს, მეორე —19 მან. და 10 შ. და მესამე კი—18 მან. და ათი შაური.

◆ ქალ. ლაბორატ. აგენტებმა ჭავჭანიძემ და გელოვანმა ფრანგებისა და ხელთუფლიშვილის შესახვევში მეღვინეებს ტიკებით ღვინო დაუბეჭდეს და ლაბორატორიაში შესამოწმებლათ გაგზავნეს.

◆ დღეს სასულიერო სასწავლებელში დასრულდება სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კურსები.

◆ რაჟ. კანდელაკმა და ა. ლორთქიფანიძემ ქუთაისის ქალაქის სამართველოში თხოვნა შეიტანეს რომელზედაც ხელს აწერენ ასზ. მეტი მცხოვრებნი არქიელის გორისა. ისინი თხოულობენ გაკეთდეს საეტლე გზა წითელი ხიდიდან ცაცხვებამდი, ხოლო ცაცხვებიდან მარჯვნის გაბრიელის ქუჩამდი და მარცხნივ სასაფლაოს აღმართამდი და დაერქვა ამ ქუჩას, როგორც მთავარს ქუჩას გორაზე „ბაგრატის“ ქუჩა, პატივსაცემად იმ დიდებულ ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისა, რომელიც ამ გორაზეა.

ოცი წელიწადია, რაც გორის მცხოვრებნი თხოულობენ ამ ქუჩის გაკეთებას, მაგრამ არ ეშველა რა, ეს გზა მთავარი ძარღვია არქიელის გორისა, იგი მოკლეა და თან სულ ადვილათ გასაკეთებელი. ამბობენ, ქალაქის სამართველო ძრიელ მონდომებულია, რომ ეს გზა გაკეთდეს, ახალი ქალაქის ინჯინერიც ბ. ფრიკი, რომელმაც თავი ისახელა ქალაქში ლამაზი სახლების შენებით, დაპირებულია ენერგიულათ შეუდგეს საქმეს. სასურველია, ქალაქის სამართველომ დააკმაყოფილოს გორელების სამართლიანი თხოვნა, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობაც აქვს იმ მხრივ, რომ ამ გზით ივლიან გორაზე უცხოელი სტუმრები შესანიშნავ ნაშთების დასათვალიერებლად, რადგან გაბრიელის ქუჩით მეეტლეები ათში ერთი არ თანხმდება გორაზე ასვლას, და რომელიც დათანხმდება შუა გზაზე მიგატოვებს და ლაზათიანადაც შემოგიკურთხებს; ასე რომ ეს გზა ამ მხრით გამოსადეგარია, ასავლელი ფასი კი ყველასათვის ძრიელ დიდია: დღისით ათი შაური, ნაშუადღევს მანეთი ხოლო, სადგურიდან მანეთ ნახევარიდან ორ მანეთამდი.

◆

სამტრედია.

კვირას, 22 ივნისს, აქაურ-ქართულ კლუბში წაიკითხა ლექცია—მასწ. გერ. გაფრინდაშვილმა: „ოჯახური აღზრდა“— ლექტორმა სავსებით გაარკვია ოჯახური წესწყობილება, თუ რა როლს უნდა თამაშობდეს ქალი ან კაცი ოჯახში და შვილების აღზდაში. ლექცია შინაარსიანი იყო და დაწერილი მდაბიო ენით. ლექციას ხალხი საკმაოთ დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა...

— სამშაბათს ღამით აქ გაძარცვეს გზაში მიმავალი აქაური წვრილი მოვაჭრე ივ. მინაშვილი. წაართვეს ფულათ 800 მანეთი. ბოროტგამზრახველები ჯერ არ აღმოუჩენიათ.

— სამშაბათს, 24 ივნისს, სამტრ. რკ. გზ. თეატრში, თფილისის მოგზაურმა დასმა ვ. გუნიას მეთაურობით, წარმოადგინა ზუდერმანის ოთხ-მოქ. პიესა მუშათა ცხოვრებიდან: „მუშის პატიოსნება“. წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა, ყველა მოთამაშე ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოვეს. წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა.

— კვირას ქართულ კლუბში. წ. კ. გ. ს-ბის გამგეობას კრება ქონდა, სადაც გაარკვიეს, თუ ვინ რა გვარი შრომა მიიღონ მომავალ. წ. კ. გ. ს-ბის სეირნობის გამართვაში. სეირნობა ამ მოკლე ხანში გაიმართება, რასაც, იმედია, აქაური საზოგადოება თავის თანაგრძნობას, როგორც ყოველთვის, არ მოაკლებს.

სამტრედიაში არ არის არც ერთი ქუჩა ისეთი, სადაც ადამიანს შეეძლოს მშრალათ გავლა, ყოველგან ტალახებში ჩაეფლობა, ამას ყურადღებას არ აქცევენ ჩვენი დეპუტატები. საჭიროა, ქუჩების გაუმჯობესებას ყურადღებას მიაქცევდენ.

— აბრეშუმის პარკის ზიდვა თანდათან კლებულობს. მთელს დ. სამტრედიის რაიონში წელს კარგი მოსავალი იყო აბრეშუმისა და გლეხებიც ძალიან გახარებული არიან, რადგან ამისთანა მოსავალი მათ არ ახსოვთ ამ ხუთი წლის განმავლობაში.

სოფლათ.

(მამასახლისების არჩევნების გამო).

სანთლით საძებნელია ისეთი სოფელი, სადაც ხალხი მადლიერი იყოს სოფლის მოხელეებისა; ყველგან და ყველასაგან გაიგონებთ ერთსა და იმავე სამდურავს და ჩივილს სოფლის მამასახლისებზე თუ მსაჯულებზე,—ემდურებიან მათ მოქრთამეობას, უსამართლობას, სოფელზე უზრუნველობას და სხვ. რამდენათაც სამწუხარო და სავალალოა ასეთი მოვლენა იმდენათვე სამართლიანიცაა.

მართლაც-და, თითქმის ყველა სოფლის მოხელე თავის თანამდებობას ისე უყურებს, როგორც ნამდვილ წყაროს, ანუ საშუალებას თავის წინ წაწევისთვის, გამდიდრებისათვის. ყველას დავიწყებია თუ რა დიადი, წმინდა მოვალეობა აძევთ მათ სოფლის წინაშე. რით აიხსნება ეს საზოგადო მოვლენა—მოხელეების უვარგისობა? აქ უმეტესად თვით სოფლის საზოგადოებაა დამნაშავე, ვინაიდან იგი ირჩევს მოხელეებათ იმისთანა პირებს, რომლებიც არც წინათ ყოფილან პატიოსნათ და კეთილსინიდისიერათ ცნობილი, ხოლო სოფლის თანამდებობა, რასაკვირველია, მათ ვერ გააკეთებდა, ვერ გააკეთილშობილებდა!..

თამამად შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს ნაწილად ჩვენს სოფლებში მამასახლისებათ ირჩევენ იმისთანა გამოქნილ პირებს, რომლებიც სასტიკად არიან დაჩვეული სოფლის ულუფით ცხოვრებას და სრულიად გადაჩვეულან საკუთარ ოფლით შრომას. იკითხავთ: მერე რად ირჩევს თვით ხალხი ამისთანა პირებს, ხომ აქვთ უფლება ვინც სურთ ის აირჩიონ, ე. ი. კეთილსაიმედო პირებიო? საქმეც ისაა, რომ ხალხს აქვს სრული უფლება და სამწუხაროდ ვერ სარგებლობს მით.

აი, ამ გარემოების მიზეზიც: მოახლოვდება თუ არა დრო მამასახლისების არჩევნებისა, შეიქნება ერთი აურ-ზაური, პარტიობა, იმერული ხრიკი, მეგობრული კვანტი, შეიქნება ჯგუფობა და სხვ. ვინ დაგიდევს ასარჩევ პირის ავ-კარგიანობას; გაიმართება ლხინი და ქეიფი იმ გამოქნილ პირთა ოჯახში, რომლებთაც სურთ სოფლის ბედ-იღბალი ხელში ჩაიგდონ. სწორეთ, ამნაირ მოქმედებით ეს ვაჟბატონები მოიმხრობენ სოფლის ბობოლებს და სხვადასხვა გავლენიან-გაიძვერა პირებს, რომლებსაც ძალუძთ სოფლის საქმეები ისე ატრიალონ, როგორც მათ სურთ. ასეთ პირობებში ეს პირები ისე მძლავრათ მოქმედობენ, რომ საზოგადოების უმეტესობას—გლეხობას, ძალიანაც რომ უნდოდეს უფრო სასარგებლო, საიმედო და სინიდისიერი პირის არჩევა მოხელეებათ, ის მაინც ვერაფერს ხდება!..

საჭიროა აქვე აღვნიშნოთ ის წესი, რომელიც იხმარება მამასახლისთა არჩევნების დროს და რომელიც სოფლის გამოქნილ პირთა გუნდისთვის ძლიერ სასარგებლოა და გამოსადეგი. აი, რაში გამოიხატება ეს წესიც. პირველად მომხრეები დაასახელებენ კანდიდატს და შემდეგ გამოაცხადებენ, ვის სურს და ვის არა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხომ იცით გლეხკაცის მდგომარეობა; წინასწარი მოლაპარაკება სამამასახლისო კანდიდატის შესახებ გლეხებს არ აქვთ, და თუ დასახელებული კანდიდატის, რომელიმემ ხმა არ მისცა და ის მაინც გავიდა, შემდეგ, მის უარის მყოფელს აანაზღაურებიებს და ამის შიშით იუძულებულია ან სულ გაჩუმდეს არჩევანზე და ან ხმა დასახელებულ კანდიდატს მისცეს. ამ რიგათ მამასახლისათ ირჩევა ისეთი პირი, რომელსაც უფრო კარგათ აქვს მოწყობილი თავისი საქმე. კერძოთ ყველა გლეხი ასეთი გრძნობითა და რწმენით არის გამსჭვალული და აქიდან ადვილად გაიგებთ [illegible] სოფლის გაიძვერების მოხელეებათ არჩევა.

ამისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, ჩვენის აზრით, რომ ყველგან, ყველა სოფელში კენჭის ყრით ირჩიოდენ მამასახლისებს და არა იმ ძველი წესით, რომლითაც მხოლოდ მარტო არა კეთილსაიმედონი იწყობენ ხელს!..

ვაჲ. ჯაქა.

თფილისი

მეხილეობა. შუაგულ საქართველოს მეხილეთა ამხანაგობამ მიწისმოქმედების დეპარტამენტს სთხოვა, აცნობოს მათ სია იმ პირთა და დაწესებულებათა, რომელთაც ხილის შეძენა სურთ.

— თფ. ოლქის სასამართლოს წევრს ნ. მ. ტურბოვიჩს სამინისტრომ წინადადება მისცა, გადავიდეს სხვა სასამართლოში, რადგანაც მან. „ზაკავკ. რეჩ.“-ში „ადვოკატის“ ფსევდონიმით დასწერა წერილი ამ სათაურით: „როგორ გვასამართლებენ ჩვენ“.

— განსვენებულ პროფ. ა. ს. ხახანაშვილის ანდერძის სისრულეში მოსაყვანათ ქ. შ. წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობის დავალებით მოსკოვს გაემგზავრა ა. თ. ყიფშიძე.

— ექსკურსია ბეთანიაში გაემგზავრება თფილისიდან შაბათს, 28 ივნისს. ექსკურსანტები შეგროვდებიან ქართულ გიმნაზიის ეზოში საღამოს 5 საათამდი, ბეთანიისკენ გავლენ სრულ 6 საათზე წუნეთით. უკანვე დაბრუნდებიან კვირას საღამოს. სანოვაგის წაღება აუცილებლად საჭიროა.

— მომავალ სეზონის დასში თფ. დრამატ. საზოგადოების გამგეობის მიერ მოწვეულნი არიან:

ქალები: ქ-ნნი ნ. ჩხეიძისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, პიერეტა საგინაშვილისა, ლოლუა, შოთაძისა, ბეჟანიშვილისა.

ვაჟები: ვ. აბაშიძე, ალ. იმედაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ალ. ყალაბეგაშვილი, პ. კორიშელი, ვ. არაბიძე, მ. სარაული, ჭიაურელი, გ. ყიფშიძე-ფრონისპირელი.

განზრახვა აქვთ მოიწვიონ: ქ-ნნი დავითაშვილი, ან. ქიქოძე, ეფ. მესხი და ნ. თოიძე. ბ. ბ. გელოვანი, შანშიევი და ალუდიშვილი.

ღია ბარათი.

მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ სათვისტომოს მოთავეებისადმი.

კიდევ ერთხელ მოგმართავთ და გთხოვთ, —**მხოლოდ ამ შემთხვევაში კი უკანასკნელად,**—იმ ფულის დაბრუნებას, რომელიც მოსკოვში ყოფნის დროს სათვისტომოს კასიდან **სესხად** გაქვთ გამოტანილი.—

რა დავაშავეთ?*)

როგორც მოგეხსენებათ, წელს პირველ ივნისიდან ქ. ქუთაისში გაიხსნა სამრ. სკოლების მასწავლებელთა პედაგოგიური კურსები მოწვეულია 82 მასწ. კაცი და ქალი იმერეთ და გურია-სამეგრელოს ეპარქიიდან. ლექტორებათ არიან დანიშნული ლვ. მ. ნაცვლიშვილი (სამღთო სჯული და დიდაქტიკა), ალ. ივანოვი (მათემატიკა), კ. მკურნალი (რუსული), ქიქოძე (მეურნეობა), ი. გაბილაია (კოოპერაცია) და სხვანი. კურსებს თავჯდომარეობს გურია-სამეგრელოს ეპარქიის მეთვალყურე ბ-ნი სინსკი. კურსების ინსპექტორათ—იმერ. ეპარქ. სკ. მეთვალყურე ბ-ნი ვლ. ავერკიევი.

თუ რომელ საგანში რაგვარად არის დაყენებული ამ კურსებზე სწავლების საქმე, ყველა ამის აღწერა ახლა შეუძლებელია, რადგან ბევრ დროს მოითხოვს, მხოლოდ საჭიროთ მიგვაჩნია, რადგან ზოგიერთი პირისგან გვესმის და გაზეთებშიაც იყო მოხსენებული ვითომც სამრევლო სკოლების მასწავლებელნი—აშორდია-გასპარიანცებისა და ლევიცკის მუნჯურ მეთოდის მოემხრე იყვნენ, იმ პირებს პასუხი გავსცეთ და ვამცნოთ გარემოება საქმისა.

დიდი სირცხვილი კი არის, რომ დანამდვილებით კაცმა საქმე არ იცოდეს რაშია და ყალბი-ცრუ აზრებით უჭედავდეს ყურს საზოგადოებას.... მართალია, ამდენ მასწავლებლებში შეიძლება გამოერია სამი ან ოთხი მუნჯურ მეთოდის მომხრე, მაგრამ ეს ხომ ყველას მომხრეობას არ ნიშნავს: ქრისტეს მოციქულებშიაც აღმოჩნდა ერთი გამცემი—იუდა, მაგრამ როდესაც გრძნობს თავის თავს დაჩნაშავეთ, იგი იმდენათ სწუხს, რომ სულმოკლე დროში თავს იხჩობს...

უნდა მოგახსენოთ, რომ ბ-მა მკურნალმა მუნჯური მეთოდით დაიწყო სწავლება და კიდევაც უნდოდა თავისი მოხერხებით გაეტარებია თავისი აზრი. მაგრამ, მისდა სამწუხაროთ, ბედმა მალე უმუხთლა და მისი ტკბილი სიტყვები დარჩა, ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. მართლა არავის ეგონოს, რომ ბ ნი მკურნალი ლევიცკის მომხრე იყო, არა, ბატონებო, და არც არავინ იფიქროთ რადგან დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ იგი უფრო თავისი „ჯიბის მეთოდის“ მომხრეა; იმას აწუხებდა იმ სამი მანეთების დაკარგვა, რომელიც თითო გაკვეთილის გადაცემაში ეძლეოდა, თორემ ამდენ სტვენას, ყიჟინას და თავის დამცირებას, რაც იმას ამ კურსებზე შეხვდა, არაფერი ჭკუათ-მყოფელი არ მოითმენდა... მიაღწია მან თუ არა თავის მიზნის შესრულებას, არც ამის აღწერა მიგვაჩნია საჭიროთ და თუ კი ვისმეს ძალიან აინტერესებს მობძანდეს სასულიერო სასწავლებელში, იყუროს გამოსაცდელი გაკვეთილი მასწავლებლისა და, თუ რაიმე ექნება შემდეგ ამისა სამრევლო სკოლების მასწავლებლები სამარცხვინო ბოძზე გააკრან...

მაგრამ, მაგარი და სამწუხარო ისაა, რომ ამ კურსებს ხელმძღვანელობს გურია-სამეგრელოს სკ. მეთვალყურე ნიკოლოზ თედორეს ძე სინსკი; რომელმაც მოგვივლინა ახალი მეთოდით რუსული ენის სწავლება და სწორეთ ეს არის მიზეზი იმ აურ-ზაურისა, რაც დღეს სასულიერო სასწავლებელში ხდება. დაახლოებით ბ-ნი სინსკის მეთოდი ამ გვარია: ყოველი რუსული მოთხრობის ახსნის დროს მასწავლებელი ვალდებულია მოთხრობა პირველად თვითონ წაეკითხოს მოწაფეებს, შემდეგ კი მოწაფემ თითოეული წინადადება უნდა იქნას მოწაფის მიერ შეთვისებული იმგვარათ, რომ (Аналитическій методъ), მოწაფემ თვითონვე უნდა დასვას კითხვა, თუ რამდენ კითხვებს შეიცავს ეს მოთხრობა, შემდეგ ამისა, უნდა უჩვენოს წიგნში ის ადგილი, სადაც არის ლაპარაკი თითოეულ ამ კითხვაზე, ამას მოყვება ლოღიკურათ კითხვების დასკვნა (Логическій разборъ) და შემდეგ ამისა დაწვრილებითი განმარტება თითოეული სიტყვისა—(Вещественный разборъ) და ამგვარი კითხვები ადის ცხრამეტამდი ყოველ მოთხრობაში, რაც დიდს გასაჭირს შეადგენს ჩვენს სკოლებში, მით უფრო, უმცროს განყოფილებებში. ამ მეთოდის წინააღმდეგი არიან ყველა მასწავლებელი და თხოულობენ, რომ ეს მეთოდი იხმარებოდეს მხოლოდ მეხუთე განყოფილებაში; მესამესა და მეოთხეში შემოღებულ იქნას ქართული ენის სწავლების დროს და, ჩვენის ფიქრით, მართლაც, კარგი იქნება, მაგრამ ბ-ნი სინსკი ამის დიდი წინააღმდეგია და მუქარით სურს აიძულოს ყველანი შემოიღონ ამ მეთოდის ხმარება მეორე განყოფილებიდანვე რუსულ ენაში.

გვიყოყინებენ, ვითომც სამრევლო სკოლის მასწავლებლები ხმას არ ვიღებთ და წინააღმდეგი არ ვიყოთ ყველა ზემოხსენებული მოთხოვნილებისა. ამის დასამტკიცებლათ საჭიროთ მიგვაჩნია მოვათავსოთ ის ინციდენტი, რომელიც მოხდა 20 ივნისს, საღამოს 5—7 საათზე გაკვეთილების გარჩევის დროს (Разборъ практическихъ уроковъ). ამ დღეს გაკვეთილი მისცეს ოთხმა მასწავლებელმა: ნინა ნადირაძემ (ჩხარის), მარიამ სალუქვაძემ (ლესინის—გურია), ალექსანდრე ხარატიშვილმა (ძირულის) და ვლ. ყრუაშვილმა (ზუბის—ლეჩხუმი). გარჩევა ამ გაკვეთილებისა დაიწყო ბ-ნი სინსკის თავჯდომარეობით; პირველად ირჩევა სალუქვაძის გაკვეთილი; თავჯდ. (კითხავს სალუქვაძეს): რას იტყვით თქვენი გაკვეთილის შესახებ?

სალუქვაძე: მე გაკვეთილის მიცემის დროს, დამოუკიდებელი მიზეზისა გამო, აღელვებული ვიყავი (?) და არაფრის თქმა არ შემიძლია.

თავჯდ. (მიუბრუნდება მასწავლებლებს) ვის რა შენიშვნა გსურთ მისცეთ სალუქვაძის მიერ მიცემულ გაკვეთილს?

სიტყვას თხოულობს მასწ. დავით ჯუღელი და ლაპარაკობს: ამ მეთოდით რუსული ენის სწავლება პირველათ მესმის და შეუძლებელია თუ მოწაფეები წინდაწინვე არ ყოფილიყვნენ მომზადებული, დარწმუნებული ვარ, და სხვაც დამერწმუნება, ქ-ნ სალუქვაძეს მათ გულში რაიმე ჩაენერგა, მაგრამ მიუხედავათ ამისა გაკვეთილმა მაინც სისტემატიურათ მიზანს ვერ მიაღწია და ის კითხვები, რაც საჭირო იყო და რაც ვითომ მათ (მოწაფეებმა) შეისწავლეს, მხოლოდ მექანიკური ხასიათისა იყო. რაღა დავფიცო: მოწაფეებიც წვალობდენ, მასწავლებელიც და მაყურებელნიც.

მასწ. **კაშკაშაძე** (მიუბრუნდება თავჯდომარეს): ვერ გამირჩევია თქვენ გადაეცით გაკვეთილი თუ მასწ. სალუქვაძემ, რომელს უყო კრიტიკა, აღარ ვიცი! (ჯდება).

ბ-ნი თავჯდომარე ფითრდება...

სიტყვას თხოულობს ბლაღოჩინ-ღვდელი ზაქარია მჭედლიძე. (თავჯდომარე ნებას არ აძლევს, ისმის ხმები: „გთხოვთ თავჯდომარე მისცეთ ნება).

თავჯდომ., შეეხეთ მხოლოდ შენიშვნებს და არა მეთოდს.

მჭედლიძე: ბ-ბო! ეს მეთოდი რუსული ენის სწავლებისა ძველია, გამოუსადეგარი და ყოვლად მავნებელი ჩვენი სკოლებისათვის (თავჯდომარე მჭედლიძეს სიტყვასართმევს, ისმის ხმები მასწავლებელთა: „გთხოვთ განაგრძოთ“. მჭედლიძე განაგრძობს) მასწავლებლებო,—ხომ ხედავთ რას გვიშვებიან, სირცხვილია, რომ... (ამ დროს თავჯდომარე ზარას არაწკუნებს, ადგება და აცხადებს): „Разборъ уроковъ откладывается“, მასწავლებლებში ყიჟინა და ჩოჩქოლი შეიქნება, ისმის ხმები: „რა მიზეზით სწყვეტთ“, მაგრამ ბ-ნი თავჯდომარე ყურადღებას არ აქცევს და გადის, მას გაჰყვება ლექტ. ივანოვი და

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილს იმის დასასურათებლათ თუ რა სულიერ ტანჯვას განიცდიან სოფლის მასწავლებლები თავის ხელმძღვანელთა წყალობით. რედ.

უკეთუ არ მოისურვებთ და ამ მიმდინარე წლის მარიობისთვის 1-მდი არ წარმოადგენთ ვალად აღებულ ფულს, სათვისტომოს გამგეობა იძულებული იქნება თქვენი გვარი საქართველოს ყველა ქართულ-რუსულ გაზეთებში გამოაცხადოს. მართალია, ჩვენს სათვისტომოს ხელთ აქვს იურიდიული ხელშეკრულობა, თამასუქები,—და, მაშასადამე, შეგვეძლო „სხვანაირადაც" მოგვექმედნა, მაგრამ, ჯერჯერობით, დეე, საზოგადოების ფართო ნაწილმა თავისი მსჯავრი დასდვას... მოთმინების ფიალა აივსო და. ვგონებთ, დროა ჩვენი მუქარა სისრულეშიც მოვიყვანოთ!...

გამგეობის თავჯდომარე: **მ. დავითაშვილი**

მდივანი: **შ. ტატიშვილი**

ფულის გამოგზავნა შემდეგის მისამართით შეიძლება: Тифлисъ, Судебная 56 Михаилу, Сергѣевичу Давидову.

ამასთან გამგეობა მოვალედ რაცხს თავს **გულითადი მადლობა** გამოუცხადოს შემდეგ პირთ, რომელთაც სათვისტომოს ვალი **სავსებით, სრულიად**, აქვთ გადახდილი უკვე და ჩვენ დაუსრულებელი პირადი თუ წერილობითი თხოვნა-მუდარა არ **დასჭირებიათ**?

გვეჩკორს, ე. პ. (ნაფიცი ვექილი, ქუთაისი); დგებუაძეს, პ. ი. (მასწავლებელი. ბაქო, რეალ. სასწ.); ზანდუკელს, ე. ზ. (მასწავლებელი. ყარსი, რეალ. სასწ.); ნათაძეს, ლ. ი. (მასწავლებელი, ტბილისი); ფანიევს, კ. ა. (ნაფ. ვექილ. თანაშემწე,—გორი); ცინცაძეს, ნ. კ. (მასწავლებელი. შუშა, რეალ. სასწ.); ჭავჭანიძეს, მ. ი. (მასწავლებელი. შუშა, რეალ. სასწ.)

P. S. სხვა გაზეთებს ვთხოვთ ეს ჩვენი წერილი გადაბეჭდონ.

რუსეთი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სასამართლო.

სამხედრო-საოლქო სასამართლომ აფიცერს გოლოვკოს ორი თვის გაუპტვახტი მიუსაჯა: გოლოვკომ მკაცრი მოპყრობით მოსამსახურე ჯარის-კაცი იქამდი მიიყვანა, რომ უკანასკნელმა თავი მოიკლა.

სასამართლო პალატამ სააპელაციო წესით დაამტკიცა საოლქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც „კიევლიანინის" რედაქტორს შულგინს ბეილისის საქმის გამო წერილის დაბეჭდვისათვის სამი თვის ციხე მიუსაჯა.

ტყეების გადაწვა.

ცეცხლი ეკიდება შემდეგ მაზრების მოსახლეობას: ტვერში—ორშანის სახაზინო ტყეს; ლიფლანდიისა, კურლანდიისა და რიგის გუბერნიაში მეორე კვირაა იწვის ტყეები. გადაიწვა ტყეები შტუბენზეში, შელლენგოფში, ცარნიკაუში, ვალდენდორში და ზინცენბერგში; რეველში ყოველდღე იუწყებიან ტყეების გადაწვის შესახებ. პსკოვის გუბერნიაშიც გვალვის გამო, ტყეებს ცეცხლი გაუჩნდა.

სოფლების გადაწვა.

ნოვგოროდის გუბ. სოფ. ვანსკაში გადაიწვა 250 მოსახლე.

სარატოვის გუბ. კამინის მაზ. სოფ. ბუნაკაში 261 კომლი გადაიბუგა.

ქ. ტოროპეტი შეხვეულია კვამლში, რომელიც მაზრის ცეცხლწაკიდებულ ტყეებიდან მოდის.

საეპარქიო კრება.

სმოლენსკის საეპარქიო კრებამ პრინციპიალურათ გამოსთქვა სურვილი მოეწყოს მთელი რუსეთის სამღვდელოების კავშირი, რომელიც უნდა შეებრძოლოს საზოგადოების ზნეობრივათ დაცემას და—დაავალა კრების საბჭოს შეიმუშაოს ეს საკითხი. (რ. ვ.).

ღვდ. გაპონის ხელნაწერები.

ღვდ. გაპონის მამამ შუამდგომლობა აღძრა დაუბრუნონ მას მისი შვილის ხელნაწერები, რომელთაც კონფისკაცია უყო დამცველმა განყოფილებამ, რომელსაც კიდეც გაუგზავნია გაპონის მშობლებისთვის, მარა მათ არ მისვლიათ და ფიქრობენ, უნდა ინახებოდეს, პოლტავის საგუბერნიო სამართველოში. ხელთნაწერებში, სხვათა შორის, ყოფილა ორი მოთხრობა გლეხთა ცხოვრებიდან. (ბ. დ.).

გაფიცვები.

ვარშავაში მეჩექმეთა გაფიცვა უფრო გაძლიერდა. გაფიცულთა რიცხვი 20,000 ავიდა. ქ. რიგაში ლატიშის ს. დ. პარტიის დაარსების ათი წლის აღსანიშნავათ ზოგიერთი სამრეწველოს მუშებმა გამოაცხადეს ერთი დღით გაფიცვა. სამ დიდ სამრეწველოში არ მუშაობდა 6,200 კაცი. სხვა ფაბრიკებში კი უფრო ნაკლები. ბრიანსკის მექანიკურ ზავოდში გაიფიცენ მუშები. ჯერ 600 მუშა გაიფიცა. ზავოდში სულ 13,000 კაცი მუშაობს. (რ. ს.)

მაჰმადიანთა კრება.

პეტერბურგში ამჟამათ მოწვეულია სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა კრება. დელეგატები არიან რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან. ისინი ეხებიან მაჰმადიანთა ცხოვრების სხვადასხვა მხარეს და აღნიშნენ მრავალ ფაკტს, თუ რა შევიწროებას განიცდიან მაჰმადიანები. სხვათა შორის, საინტერესო მოხსენება წაიკითხა 19 ივნისს კრიმის წარმომადგენელმა მუფტიზადემ, რომელმაც აღნიშნა მთავრობის ზოგიერთი მოხელის ადმინისტრაციის მტრული განწყობილება მცხოვრებლებისადმი, რაიცა ყველაზე უფრო იმაში გამოიხატება, რომ უმიზეზოთ ხურავენ მაჰმადიანთა კონფესიონალურ სკოლებს. მაგალითად, ერთი სკოლა მისთვის დაუხურავთ, რომ იქ „ბავშებს ასწავლიან წერაკითხვასო" ეს ყოფილა მიზეზი სკოლის დახურვისა, როგორც ჩანს, ინსპექტორის რაპორტიდან. მომხსენებლის გამოანგარიშებით კრიმში 1909 წ. 100 სკოლა დაუხურავთ: მოხსენება წაიკითხა აგრეთვე მრევლის რეფორმის შესახებ ორენბურგის სასულიერო ოლქში და აღნიშნა მაჰმადიან სამღვდელოების მატერიალურათ უზრუნველყოფის საჭიროება და სხ. და სხ. (რ.)

მკურნალი, უკანასკნელს ხელს წაავლებს ღვდ. მჭედლიძე და აჩერებს, იგი ფერმკრთალი დგას მის წინაშე, „უნდა გრცხვენოდეს, მიმართავს მას მჭედლიძე, რომ ასე ფეხ-ქვეშ გსურს გასთელო ჩვენი წმიდათა-წმიდა—ქართული ენა"; მკურნალი პასუხს ვერ აძლევს, (მოისმის ხმები „გამყიდველო, გაიძვერა, იუდა"). მასწავლებლები გარს ეხვევიან, მკურნალი ძალით მიდის... გადის ათი წუთი და კრება ახლდება, თავჯდომარეობს სინსკი.

თავჯდ.: გაკვეთილების გარჩევის დროს ყოველთვის, მთხოვნელი ვარ, წესრიგი დაიცვათ, თორემ... სიტყვას თხოულობს ღვდ. მჭედლიძე.

თავჯდ.: თქვენ, როგორც არა ამ კურსებზე მონაწილეს, არა გაქვთ ნება სიტყვის წარმოთქმისა.

მჭედლიძე: როგორც მართველსა და დამცველს ორკლასიანი სასულიერო სკოლისას (ხონის) ყოველთვის ნება მაქვს სიტყვისა.

თავჯდ.: გთხოვთ ხელს ნუ გვიშლით?

მჭედლიძე: ხელსაც გვიშლით და სულიც გსურთ ამოგვხადოთ, მაგრამ მგონი ვერ მოესწროთ (მჭედლიძე ჯდება).

სიტყვას თხოულობს მასწ. ვ. დოლიძე. (თავჯდომარე ნებას აძლევს).

დოლიძე: მაგ მეთოდით სწავლება თუ გსურთ, რომ ჩვენ სკოლებში რუსული ენა გაძლიერდეს დღეიდანვე უნდა მოისპოს, მით უფრო პირველ განყოფილებებში, და მეხუთე წელს კი შეიძლება.

ეგ მეთოდი საჭიროა მხოლოდ რუსულ სკოლებში რუსის ბავშებთან, აქ კი, თუ მასწავლებელი თავს შრომას მისცემს დიდი სასარგებლო იქნება ქართული ენის სწავლების დროს და დიდი საჭიროც არის და, თუ რომელიმე მასწავლებელი იმდენს შესძლებს, რომ მაგ მეთოდით რუსულს ასწავლის, მაშინ მე თავი მომჭერით (დოლიძეს მასწავლებლები ტაშის კვრით აჯილდოვებენ). მიუხედავათ ყველა ამისა, ქ-ნ სალუქვაძის გაკვეთილი ბ ნ თავჯდომარის მიერ კეთილსაიმედოთ იქნა მიღებული. ჯერი იდგა ქ-ნ ნადირაძის გაკვეთილის გარჩევისა. ყველა სდუმს და მისი გაკვეთილიც იმ გვარადვე იქნა მიღებული.

ლექტ. ივანოვი (მიმართავს მასწ. ხარატიშვილს): რა ნაკლულევანებას ჰპოებ შენს გაკვეთილში?

მასწ. ხარატიშვილი: მე არაფერი არ შემიძლია ვსთქვა ჩემს გაკვეთილზე, ამას სხვებიც გასჯიან. რადგან თარგმნითი მეთოდით იყო მიცემული ხარატიშვილის მიერ გაკვეთილი, ამისათვის არავის შენიშვნა არ მიუცია და ყველა მსმენელთაგანმა საუკეთესოთ სცნო.

ლექტ. ივანოვი: მასწ. ხარატიშვილმა პირდაპირ მიაღწია იმ მიზანს, რაც კი საჭირო იყო და უსურვებ სხვა მასწავლებლებს ასეთი ტაქტიკით განეგრძოთ სწავლება. (ამ სიტყვების შემდეგ თავჯდომარე აღელვებული გადის ზალიდან).

ამ გვარადვე იქნა მიღებული მასწ. ვლ. ყრუაშვილის გაკვეთილიც.

აი ბ-ბო! სამრ. სკ. მასწ. დანაშაული. (თუ კი დანაშაულათ ჩაეთვლებათ). რომელი მხარეც გაიმარჯვებს, სულ ახლო მომავალი გიჩვენებთ...

სვარლაშელი.

უცხოეთი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

სახელმწიფოთა კოლექტიური ნოტა.

დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გადასცეს ათინაში საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრს სტრეიტს კოლექტიური ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიისა და რუსეთის მთავრობებმა მოიწონეს ის შეთანხმება, რომელიც შეკრეს კორფუზე საერთაშორისო კომისიამ და ეპირის დელეგატებმა ეპირის მოწყობის შესახებ. (ლ.)

სერბიის წინადადება.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან: სერბიის მთავრობამ წინადადება მისცა ავსტრიას ავსტრიის პრესის გამოლაშქრების და სერბიის საწინააღმდეგო დემონსტრაციების შესახებ. წინადადების საპასუხოთ ავსტრიის გარეშე საქ. სამინისტრომ განაცხადა, რომ მას არ შეუძლია პრესის ალაგმვა, დემონსტრაციების წინააღმდეგ კი მიღებული იქნება ზომებიო. სერბიის საელჩოს დასაცავათ დანიშნულია პოლიციის გაძლიერებული რაზმი, რომელმაც რამდენჯერმე გაფანტა დემონსტრანტები. (რ. ს,)

ინგლისის ქვედა-პალატა.

ბონარლოუს პროტესტს შემდეგ საფინანსო ბილის შესახებ კამათის მოსპობის წინადადება შეიტანეს. წინადადება მიღებულ იქმნა 23 ხმით. ლიბერალების უმრავლესობამ თავი შეიკავა. ამ შემთხვევას სხვადასხვა ნაირად განმარტავენ.

ქალის შეპყრობა.

ლონდონში შეიპყრეს ერთი იმ ქალთათაგანი, რომელმაც ყუმბარა დააგდო ეირეში მგოსნის ბერნსის ბინის ქვეშ. მეორე ქალი მიიმალა.

საფრანგეთის სენატი.

სენატმა ერთხმად მიიღო ბიუჯეტი, აგრეთვე შეიტანა შიგ მოსაზრება შემოსავლის კვალობის გადასახადის შემოღებისა.

პუანკარეს მოგზაურობა.

პრანკარეს სამოგზაურო კრედიტები დიდის უმრავლესობით მიღებულ იქნა. სოციალისტებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა.

კირიჩენსკი და ტრაანოვსკი.

პარიზში კირიჩენსკისა და ტროიანოვსკის ყუმბარები აღმოუჩინეს. ორივე ყუმბარა ააფეთქეს, რომელსაც საშინელი ძალა აღმოაჩნდათ.

მუქარის წერილები.

სერბიის მემკვიდრე პრინცს ალექსანდრეს ავსტრო-ჰუნგრეთიდან ყოველდღე უხეში მუქარის წერილები მოსდის, რომელთაც ავტორთა სახელი და გვარი არ აწერია.

ბულგარელ და რუმინელ ჯარისკაცთა შეტაკება.

კაპიტანი ვემალრანი იტყობინება, რომ რუმინიის მომიჯნე სადარაჯოდან ბულგარელ ჯარისკაცებს თოფები დაუშინეს. ბულგარეთის მთავრობამ სოფიაში მყოფ რუმინიის წარმომადგენელს მიმართა და სთხოვა, რომ ზომები მიიღოს ასეთი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, რადგანაც ისინი ორივე მთავრობის მხრივ უკმაყოფილებას იწვევენ.

ეპირის ამბები.

აქ მიღებული ცნობების მიხედვით ეპირის ავტონომიურმა ჯარებმა კორიცა დაიპყრეს. სამხედრო სამინისტრომ ეპირელთა რაზმებში მყოფ აფიცრებსა და ჯარისკაცებს განკარგულება დაუგზავნა, რომ დაუყონებლივ დაბრუნდენ უკან. ნაღმოსნების წყება ფალერნის ნავსადგურიდან, ჰფიქრობენ, მცირე აზიისაკენ გაემართა.

ჩემი შთაბეჭდილება

სამრევლო სკოლების მასწავლებელთა პედაგოგიური კურსების შესახებ.

როგორც უკვე იცის მკითხველმა საზოგადოებამ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სამრევლო მასწავლებელთა პედაგოგიური კურსები სწარმოებს. აქ არ შევუდგები კურსების მნიშვნელობის განმარტებას, მხოლოდ მინდა აღვნიშნო ჩემი შთაბეჭდილება და გავუზიარო საზოგადოებას. ბევრი კარგი და ავი დაიწერა გაზეთებში ამ კურსების შესახებ, განსაკუთრებით საგულისხმო იყო ზოგიერთი პირის პოზიცია რომელიც ეჭირა ამა თუ იმ საგნის შესახებ ლექციის კითხვის, თუ სანიმუშო გაკვეთილების მიცემის დროს. აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ კურსების ნამდვილი მიზანი—გონებრივი და პრაქტიკული მომზადება მასწავლებლებისა—მიტოვებული იყო და უმთავრესი ყურადღება კურსების ხელძღვანელის ბ. სინსკისა მუნჯური მეთოდის მოწონებასა და სკოლებში შემოღებაზე იყო მიქცეული.

მართალია, მის ასეთ განზრახვას ზოგიერთი პირი სიტყვით თუ საქმით ხელს უწყობდა, მაგრამ მათი ცდა ჯერჯერობით უნაყოფო დარჩა, ვინაიდან უმრავლესობა მუნჯურ მეთოდს უარყოფით შეხვდა.

სხვა ლექტორთა შორის ამ კურსებზე მოწვეული იყო პატივცემული ღვდ. მიხეილ ნაცვლიშვილი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ლექციების კითხვა დიდაკტიკიდან და საღმრთო სჯულში სანიმუშო გაკვეთილების მიცემა. მან, თავისი შინაარსიანი ლექციებითა და სამაგალითო გაკვეთილების მიცემით, ყველა მსმენელის ყურადღება დაიმსახურა და დიდი თანაგრძნობაც გამოიწვია. მის ლექციას აღფრთოვანებით მსმენდენ სმენელები და ტაშისცემით აჯილდოვებდენ.

23 ივნისს გამოსამშვიდებელი სიტყვით მიმართა მსმენელთ და უსურვა მეტი ნაყოფის გამოღება სწავლა-აღზრდის საქმეში, უსურვა აგრეთვე არ დაცემულიყვნენ სულით და საერთო ძალღონითა და იმედით აღფრთოვანებული შედგომოდენ შრომის მძიმე უღელს. დაბოლოს ყველას სათითაოდ გამოემშვიდობა და სთხოვა მსმენელთ გადაეღოთ სურათი და ერთი მისთვის გადაეცათ.

ბეს. წველი.

◆

როდის ექნება დასასრული.

ისე არსად არ არიან გამრავლებული შანტაჟისტ-ქურდ-ბაცაცები, როგორც შორაპნის მაზრაში. ამ მხრით ეს მაზრა ერთ უსაშინლეს კუთხეს წარმოადგენს. მთელს მაზრაში არ მოიპოება არც ერთი უკანასკნელი სოფელიც კი, რომ ამ თავხედ, ზნედაცემულ ვაჟბატონებისაგან არ იტანჯებოდენ მცხოვრებლები. არ გაივლის ისე ღამე, რომ სადმე არავის დაეცენ თავს და არ მოსტაცონ რამე! ჩხარის საზოგადოებაშიც იჩინეს თავი. თავისუფლად დათარეშობენ ყველგან და ისედაც უმწეოთ მიგდებულს, გაძვალტყავებულ ხალხს მწარე დღეს აყენებენ: ზოგს თავს ესხმიან დღისით თუ ღამით და სულს აქით თუ რამ გააჩნია ართმევენ, ზოგს კიდევ მუქარის წერილი მიუდის, რომლითაც ატყობინებენ, ამა და ამ ადგილზე ამდენი ხნის განმავლობაში, თუ ამდენი და ამდენი ფული არ მიიტანე სუყველას მოგსპობთო და სხვა. ამ დღეებში სოფელ გოგნში დაეცენ თავს იქაურ მცხოვრებელს—ჰანტურიძეს, რომელსაც ეკლესიის ზარისთვის ფული ბარებია ხუტმეტ თუმნამდი, წაართვეს მას ეს ფული და შემდეგ ცოცხალ-მკვდარი, ძალზე ნაცემი მიატოვეს საბრალო. ზოგიერთებისთვის იმავე სოფელში ჩაუბარებიათ მუქარის წერილები, რომლითაც სთხოვენ, სულ მოკლე დროში დანიშნულ ადგილს 300 მანეთი მიიტანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილით ემუქრიან საცოდავს!..

და მერე ვისი ბრალია, ასე თავისუფლად რომ დათარეშობენ ეს სულიერად გახრწნილი, ყოვლად ზნედაცემული პირები სოფლათ? ვიტყვი: თვით ხალხისავე ბრალია. ნუთუ მათ არ იციან ვინც ბძანდებიან ის პირები, რომლებიც მათ დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევენ?! ნუთუ მათ არ შესწევთ იმდენი გამბედაობა, რომ შეერთებული ძალ-ღონით და აგრეთვე მთავრობის დახმარებითაც სამუდამოთ მოსპონ-ჩააქრონ, ამ შანტაჟისტ-ავაზაკების თარეში სოფლათ? დიაღ, ეს ყოველივე მათ კარგათ შეუძლიათ და იცოდენ კარგათ, ყოველივე მათი ბედიღბალი მათზევეა დამოკიდებული; იცოდენ კარგათ, შორებლები იგინი არც ერთი არ იქნება, ჩანს მათივე მოქმედებით, ყველა ადგილობრივი წვრილფეხა ქურდ-ბაცაცებია ერთმანეთს აყოლილი. და ამიტომ ვურჩევ ყველას, შეერთდენ, ნურავის ნუ შეეშინდებათ და, მერწმუნეთ ბატონებო, რომ შეერთებული ძალ-ღონით სულ მალე მოსპობენ იგინი ამ საძაგელ შანტაჟისტ-ავაზაკების თარეშს ყველგან და კვლავ მიეცემიან თავის მყუდრო, ჩვეულებრივ სოფლის ცხოვრებას.

ი. ძერულისპირელი.

პასუხი.

(გაზ. „არის" კორესპონდენტს ბ. „ოპოზიცი"-ას.

გაზ. „აზრის" 77-ე ნომერში დაბეჭდილია წერილი დიდი ჯიხაიშიდან ბ. „ოპოზიციის" ფსევდონიმით, რომელიც შეეხება უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის დაარსების, სახალხო სახლის აგებისა და ქსენონ-აფთიაქის მოწყობის საკითხებს.

მართალია, პირველი ორი საკითხი რიგზე დგას გადასაწყვეტათ და ხალხი მზათაა დაიარსოს, თუ „ოპოზიცია" და ძმანი მისნი, რომელნიც მას ზურგს უკან ამოფარებიან, ხელს არ შეუშლიან საქმეს და არ არევ-დარევენ, იმ ჭორებს და პირად ანგარიშს თავს დაანებებენ, რომლითაც დღე ვერ მოუსვენიათ და ღამე ძილი ეფრთხობათ. მე კი მგონია, ხალხს უკვე შეგნებული აქვს თავისი ავკარგი და წინამსვლელობისკენ მიისწრაფის. ბ. „ოპოზიცია" ეტყობა ერთგვარ ავათმყოფობას შეუპყრია, ელანდება ის, რასაც ვერ ხედავს და ესმის ის, რაც არ ხმაურობს, ამავე ავათმყოფობითვე არიან შეპყრობილი ძმანი მისნი, თორემ დააწყნარებდენ მას. ბოლოს ბ. „ოპოზიცია" დასტირის ექიმის წასვლას და ქსენონ-აფთიაქს, დიახ გოდება თქვენი გამოწვეულია არა იმით, რომ საზოგადო საქმე შეფერხდება, არამედ პირადი ანგარიშით. ღვაწლი დიდია და ამას დაფასებაც უნდა მაგრამ თქვენ საზოგადო საქმე იმდენათ გაინტერესებთ, რამდენათ ის თქვენთვის პირადათ ხელსაყრელია, თორემ დაუკვირდით: რამ გამოიწვია თქვენი ვითომდა იერიშით გამოსვლა, თუ არა პირადმა ანგარიშებმა?

ბ. „ოპოზიცია" მეხება პირადათ მე და ძმას ჩემსას დავითს, ამბობს: „ბლალოჩინი სამსონი და ძმა მისი დავითი და მათ მხარს უშვენებენ...

ნურას უკაცრავათ „ოპოზიცია", მაგრამ მე და ჩემს ძმას არავისგან მხრის დამშვენება არ მოგვითხოვია და არც ვსაჭიროებთ ისე, როგორც თქვენ, და თუ რაიმე საზოგადოებას დაუვალებია (როგორც ერთი წევრი საზოგადოებისა) შეგვისრულებია კიდეც, რამდენათაც ძალღონე შეგვწევდა. მაშ ის თქვენი წამოსროლილი ირონიები თქვენვე გამოიყენეთ, ვისგანაც შეიძინეთ და კვლავ მიიღე მისგან გაკვეთილები, როგორც აქამდი, მომავალში დაგჭირდებათ; თქვენგან მეწყინება ქება, და ლანძღვა კი არა, რაკი ვიცი თქვენი დევიზი. რა ვქნა, რომ თქვენ ფერხულში ვერ ჩავები, თქვენი ფიქრით არ ვიფიქრე, თქვენი აზრით ვერ ვიაზროვნე, თქვენი სურვილებისამებ არ ვიმოქმედე, ვერ ვიდემაგოგე და პირად ანგარიშებს არ დავდევ, ამით რამდენი მოღალატე ვარ საზოგადო საქმის, მისთვის მიმინდვია, ვისაც შეუძლია ამის დაფასება და გამოცდილება შესწევს. თქვენ და თქვენს მოძმეთ, ბ. „ოპოზიცია", რა უფრო გაინტერესებთ? საზოგადო საქმე, თუ კარტ-ნარდი, ღვინო-ღიდინი, ხშირად ცხვირპირის დაჩეჩქვა და თავის გატეხა; მოიგონეთ, მოიგონეთ თქვენი რაზმის მოქმედება, რომლის ლოტბარობაც გიკისრნიათ! რომელი ჩამოვთვალო.

საკითხები, რომელიც წამოყენებულია გადასაწყვეტათ ღირსსაყურადღებოა. ავიღოთ უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი (რაც „ოპოზიციას" და მის რაზმს ძილს უფრთხობს). ჯერ კიდევ საზოგადოებამ 1908 წელს მოისურვა დაეარსებია სამოქალაქო მე-6 კლასიანი სასწავლებელი, რისთვისაც განაჩენი დაადგინა და საჭირო ხარჯებიც იკისრა; რაკი ტიპი სამოქალაქო სასწავლებლისა შეიცვალა უმაღლეს სასწავლებლის პირველდაწყებითზე, საზოგადოებამ მეორე განაჩენი დაადგინა 1912 წელს, რომ ამ ტიპის სასწავლებელი გაიხსნას ჩვენში, რაც მიანდო დავით დევიძეს იმავე განაჩენით იშუამდგომლოს, ვისთანაც ჯერ არს, და საქმე აწარმოოს. დიახ, ამ სასწავლებლის დაარსებას ვურჩევ მე ხალხს და მსურს კიდევაც გაიხსნას ჩვენს სოფელში. წასულ წელს სარწმუნო წყაროდან გავიგე, რომ ჩვენში ხსენებული სასწავლებლის გახსნა წარდგენილია სამინისტროში მეორე რიგზე, მასთან ის პატივცემული პირი, რომელმაც ეს ცნობა მომაწოდა, მირჩევდა, რომ თუ დაჩქარება გინდათ, ეცადეთ კიდევ ახალი შუამდგომლობა აღძრათ, ისე მოაწყვეთ საქმე, რომ ეს შუამდგომლობა მზრუნველმა წარადგინოსო; ამას შემდეგ მე და ზოგიერთმა პირმა გამოვარჩიეთ გაიხსნას სასწავლებელი სწავლის ფულის შემოღებით და ვცდილობთ კიდევაც, თუ მოხერხდა და გაიხსნა. შუამდგომლობაც უნდა აღვძრათ, დააჩქარონ ხაზინიდან დახმარება. ამის მაგალითი თვალწინ გვაქვს ქ. ქუთაისი და დაბა სამტრედია, რომელთაც სასწავლებელი გახსნეს ამ პირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
შაბიაბნის სითხით
ვენახების სააქიმო

მევენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება
მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერვლები.

ძლიერ ზომიერ ფასად ნამდვილი ინგლისური შაბიამანი,
უმაღლესი ხარისხის - გოგირდის ფხვნილი, ყაკმენის სითხე.
მანქანების ყოველგვარი რეზინებისა და სხვა მოწყობილობა.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.
მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრეპ ლუმელეპი (ფეჩეპი), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანალდი, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის ,,ვიკანდერ და ლარსონის'' სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ, ფილიპოვი.

ბებში და ქ. ქუთაისმა უკვე მიიღო ხაზინის შემწეობა, სამტრედია კი დღე-დღეზე ელოდება. ბ. „ოპოზიციას“ ძლიერ სამარცხვინოთ მიაჩნია ჩემ მიერ ასეთი რჩევა ხალხისადმი და ამავე დროს ის და მისი რაზმი წინააღმდეგ მიდის სასწავლებლისა, როდესაც ხალხი სიხარულით ეგებება; ასეთი მათი ქადაგება ხალხმა იუცხოვა და ზურგი შეაქცია; იგრძნეს რა ეს, ბ. „ოპოზიციამ“ და მისმა რაზმმა, სხვანაირათ შებრუნდენ და იძახიან: ცილი დაგვწამეს სასწავლებლის წინააღმდეგ, ვინ არისო; თქვენ ვინ გჩივა, ნეტავ ზოგიერთი პედაგოგიც არ ჩაგყოლოდენ ამ ფერხულში და გზას არ გადაცდენოდენ. თქვით პირდაპირ, რაც გულში გაქვთ, თორემ საბუთები ამის ხელთ არის და თავის დროზე ჩამოითვლება. სთესეთ ღვარძლი, ვნახავ თუ ხორბალს მოიმკით. თქვენ, მოწინავე პირნო, (ასე უწოდებთ თავს), რას უნდა ცდილობდეთ: ხალხში სინათლემ შეაშუქოს თუ სიბნელემ? სწავლა-განათლების კერათ მიჩნეულია სასწავლებელი, მაშ უნდა რიცხვი მისი ვამრავლოთ. რაც შეეხება ნაკლს სასწავლებლებისა, ეს ყველამ ვეცადოთ შევსოს, და არა იმაში გამოვხატოთ, რომ სასწავლებლებს უარი ვუთხრათ. მე კიდევ ვიმეორებ, და თქვენ რამდენიც გინდათ მკიცხეთ, ილანძღეთ, იგინეთ, სასწავლებელი უნდა გაიხსნას; ხალხი მოწადინებულია, მასზე გაღებულ ფულს დაკარგულათ არ თვლის, თქვენ ხელს ნუ უშლით, გულს ნუ უცრუებთ, თორემ მომავალში პასუხი მოგეთხოვებათ.

ბლ. ლვდ. ს. დგვიძე.
(შემდეგი იქნება).

◆

პასუხად ქ-ნ გეგენავას ქალს.

როგორც ჩანს, ქ-ნი გეგენავას ასული ძლიერ აუღელვებია თვისივე უსამართლობას და ჩემ მიერ დაწერილ წერილისთვის სამედიატორო სამართალშიაც-კი მიწვევს.

არსებითად ქ. გეგენავა თავის გასამართლებათ არაფერს ამბობს, პირიქით ჩემგან წამოყენებულ ბრალდებას თავისი პირით აღიარებს და თავისი დანაშაულისთვის ბოდიშს იხდის საზოგადოების წინაშე, ხოლო მე სამედიატორო სამართალში მიწვევს. ერთში ვეთანხმები გეგენავას ასულს, რომ მე მის გაკვეთილს არ დავსწრებივარ. ეს ჩემ წერილშიაც ნათლათ სჩანდა. მე ვეყრდნობოდი მხოლოდ გაზეთების უტყუარ ცნობებს, რომელიც თავიდან ბოლომდი თქვენ საქციელს ამხელდა. მე სრულიად არ „დამიმტკიცებია“, რომ გეგენავას გაკვეთილი მოვისმინე-მეთქი, საქმის გამოსარკვევად, მე ის სტრიქონებიც მეყოფოდა, რომელიც ცრემლით აცნობდა საზოგადოებას, რომ მუნჯური მეთოდის მიმდევარი, თვით მასწავლებლებშიაც აღმოჩნდაო.

„იმერეთის“ 76-ე ნუმერში ვკითხულობთ შემდეგს: „თვით სოფლის მასწავლებელთა შორის აღმოჩნდენ ისეთი პირები, რომელიც შეეცადნენ სანიმუშო გაკვეთილი მუნჯური მეთოდით გადაეცათ“. შეეცადენ მე ასე მესმის: ეცადენ, მაგრამ ვერ შესძლესო. განზრახვა ხომ ქონია, რომ გადაეცა, და რადგან ვერ გადასცა, ეს სულ ერთია, თუ რაიმე გარემოებამ ხელი შეუშალა. ამავე წერილის ავტორი განაგრძობს ქვეითვე: „მხოლოდ, როდესაც 9 ივნისს სანიმუშო გაკვეთილზე გვერდი აუხვიეს მუნჯურ მეთოდს და იხმარეს მშობლური ენა, აი რა წარმოსთქვა მეთვალყურესთან ქ-ნმა გეგენავამ: „მე დიდ ნაკლულევანებათ ვთვლი, რომ ამ გაკვეთილზე სამშობლო ენა იხმარესო“. მე ეს ცნობა მაკმაყოფილებდა, რომ ის დასკვნა გამომეყვანა თქვენი გაკვეთილიდან, რაც ჩემს წერილში უკვე აღვნიშნე, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩემი წერილი უკვე რედაქციაში გაგზავნილი მქონდა, ხელში ვიღებ ახლად მოსულ ,,იმერეთის'' 89-ე ნუმერს და ვკითხულობ შემდეგს:

,,ქ-ნ გეგენავამ დაგმო მუნჯური მეთოდი, მაგრამ, რაც შეეხება მის მიერ ,,დაუფიქრებლად (როგორც თვითონ დაგვარწმუნა) წარმოთქმულ სიტყვებს, მიმართულ წინააღმდეგ თარგმნითი მეთოდისა, ის თავს იმართლებს იმით, რომ მან ეს სიტყვები წარმოსთქვა ,,между прочимъ''. ამის შემდეგ, მე გეგენავას ასულს, პასუხს არაფერში არ გავსცემ.

რაც შეეხება სამედიატორო სამართალს მე არას გზით არ მივყვები მას სამედიატორო სამართალში, ვინაიდან მე მისი გაკვეთილი არ მომისმენია (და თუ ვაღიარე, რომ ნამდვილათ მოვისმინე-მეთქი, დანაშაულად ვაღიარებ ჩემ თავს). ბოლოს ის ამბობს, ერთ თუმანს გადვიხდი დაუვიწყარი პედაგოგის ფონდის გასაძლიერებლადო. მე—კი გეტყვით, რომ ჩვენი უუძვირფასესი მოძღვრისა და მასწავლებლის გოგებაშვილის წინაშე ბოდიშის მოსახდელათ თქვენ გმართებთ არა ათი ვერცხლი, არამედ მისვლა მის საფლავზე, შენდობის მოთხოვნა და აღსარება:

,,მომიტევე, უფალო, რადგან არა ვიცოდი, რასა ვიქმოდი-თქო.

ბ-ძის ასული.

◆

დაბა-სოფელი.

ს. ხორგა. (ოდიში). გასული წლის მოუსავლობა, რომელიც ასე საგრძნობელი შეიქმნა იმერეთისათვის და საერთოდ დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხებისათვის ოდიშის დასავლეთ მხარეს (შავი ზღვის ნაპირზე) არც კი გაუგია. გასული წელიწადი ერთ-ერთი მოსავლიანი წელიწადთაგანი იყო განსაკუთრებით სოფელ ხორგისათვის. აქედან თითქმის ახლაც კი გააქვთ სიმინდი დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

წელს კი ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. ჯერ კიდევ მთელი აპრილის განმავლობაში ხანგრძლივმა გვალვამ გლეხს საშუალება არ მისცა, რომ ხვნათესვისათვის ხელი მიეყო. ამას მოყვა ხანგრძლივი წვიმები. მოგეხსენებათ ისეთ დაბალ ჭაობიან სოფლისთვის, როგორიც არის ხორგა და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლები, რა სიკეთეს დააყრიდა. მდინარე ხობი სამჯერ გადმოვიდა თავის ნაპირებიდან და, თუ რამ დათესილი იყო ერთიანად გაანადგურა. სოფელი მეტისმეტ უნუგეშო მდგომარეობაშია. გაცუდებულ ყანებს ხელახლა დაუწყეს თესვა, მაგრამ, არა მგონია, აქიდან რამე გამოვიდეს. მთელი სოფელ ხორგისა და მის ახლო-მახლო მდებარე სოფლების ერთად-ერთი შემოსავალი სიმინდია, და, თუ ისიც აღარ მოვიდა, მაშინ სად უნდა ეძიოს გლეხმა სხვა სახსარი ცხოვრებისა.

ლადო.

◆

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო მ. ა. ა. ა. მაკაროვს, დვდლს მ. სიმონ მჭედლიძეს, მ. ტიმოთე კაპანაძეს, მ. სერაპიონ ცაგარეიშვილს, ქ. ნინა დუდაძისას, ბ.ბ. ალექსანდრე შარაშიძეს, ისიდორე კვიცარიძეს, ნიკო მაღრაძეს და ლადო ბზვანელს, რომელთაც კეთილინებეს და შეუწყვეს ხელი ქუთაისის გუბერნიის ციხეში არსებულ ტუსაღთა სამკითხველოს გამდიდრებას სხვადასხვა წიგნისა და ჟურნალ-გაზეთის შემოწირულობით.

ფრიად სასურველია და სასიამოვნოა, რომ სხვათაც მიბაძონ ზემოხსენებულ პირთ, რადგან მათი შემოწირულობა არის მალამო სულითხორცამდი ავათმყოფ სასოწარკვეთილ ტუსაღებისათვის, რომელთაც წიგნი, როგორც შეუდარებელი ოსტატი, ასწავლის და არიგებს უკარცეროთ და უწკეპლოთ; აღვიძებს, ანუგეშებს და უჩვენებს კეთილ ადამიანურ ცხოვრების გზას.

ქუთ. გუბერნ. ციხ. ტუს. სამკითხველოს გამგე აპოლონ ჩიხლაძე.

ანგარიში

ქ. ფოთის ღარიბთა სასარგებლოთ დამხმარე საზოგადოების მიერ 4-სა და 26 მაისს ქალაქის ბაღში გამართულ ლოტარეია-ალეგრის შემოსავალ-გასავლისა.

(შემდეგი იხილე „იმერეთი“-ს 85-ე №.

იმ პირთა სია, რომელთაც შემოსწირეს ფულათ ლოტორეია—ალეგრას სასარგებლოთ: ეპისკოპოზი ლეონიდი –10 მ., ს. ს. ჩოჩუა —15 მ., გ. ნ. დიდია—5 მ., ლავ. კენინგი, ი- გოვოროვსკი, ს. ნ. გოგინავა, ა. ვ. შავდია-- სამ სამი მან.; გ. ბ. სარჯველაძემ, მ. ნ. კუცია, პ. ი. სამანჯი და ი. ა. თვალაძემ – ორ ორი მანეთი. ა. მხითაროვი, მიასოედი, ი. მ. ალხაზოვი, უცნობი ა. ზ. მანეთი და ათი შაური თითომ. კაუხჩევა, სკრიპჩენკო, შმიტცი, გ. ი. კონსტანტინოვი, პ. თარხანოვი, თ. რ. ს. ბეგთაბეგოვი, კუჭაიძე, ნ. ქორქია, უცნობი ს. ხ., ი. მ. ბუხბინდერი, კ. მ. ხუბუა, პ. ს. სოკოლოვსკაია, ბ. მამალაძე, ლვდ. კ. ჭანტურაია-–თითო მანეთი. უ. ლომაია, გ. კეფალიდი, ო. ზივერტი, თურქიანცი, გეგეჭკორი, ვაშაკიძე, დ. ლ. სკიზერნი, ე. ავგერინო, ელიავა ათ–ათი შაური. შულგინი და ალხაზოვი—ექვს-ექვსი შაური. მუსასტიკოვი და დ. არჯევანიძე ხუთ-ხუთი შაური. სულ ფულათ შემოვიდა: 75 მ. 3 აბაზ., ლვდ. გიორგი გეგეჭკორმა შემოსწირა ვერცხლის საათი, ა. ბ. მიქაბერიძემ დიდი სურათი და ე. ი. ცაგარელმა ცოცხალი ცხვარი, სხვადასხვა ნივთები: ნ. ა. ტერნიგოსოვმა, ე. ვ. მეთერმა, ვ. ე. რუხაძემ, პ. ი. ლეჟავამ, ა. დ. ლოლუამ, დ. ს. ლაშხიამ, გ პ. ხოჭაშვილმა, დ. ი. გამბაროვამ, კ. ა. ბაჟბეუკ-მელიქოვმა, ს. ს. ტრონემ. რ. ტ. ქავჭანიძემ, ბ. ს. ცხაკაიამ, გ. ა. საბახტარიშვილმა, ვ. ს. ფირალოვმა, ა. მ. კადეიშვილმა, ე. ბ. გაბელიამ, ა. მ. კოპალეიშვილმა, ნ. ი. ხუმარაძემ, ა. ნ. ხოფერიამ, ფ. ა. კინწურეიშვილმა პ. ვ. მელიქიამ, ნ. ა. ყლენტმა, ალავიძემ, ს. კვინიხიძემ, ვ. ბ. სანიკიძემ, საჩინო ჟვანიამ, ა. ი. ტუღუშმა, ფ. მაღლაკელიძემ, თ. ი. კოხრეიძემ, პ. ს. ქავთარაძემ, ნ. ბ. ლოლუამ, მ. ი. მამუკიამ, ივანე კურნოვმა, ე. ზ. მოისწრაფეშვილმა, აპ. იმნაძემ, დ. პილიდი, ე. ავგერინომ, ალხაზოვამ, ჩოჩუამ, აიბინდერმა, ობერმეისტერმა შამუგიამ, ნ. ღლონტმა, ზოსიმე გვალიამ, თ. ჭ. ს. ბეგთაბეგოვმა და ს. გ. მანდენევისამ.

სამზრუნველო გულწრფელ მადლობას სწირავს ყველას, ვინც შემოსწირა ფული და ნივთები და აგრეთვე ქალბატონთ: მ. ნ. და ნ. ა. ბუდზინსკებს, ს. გ. მანდენევისას, ტ. მ. და ტ. ნ. გლადვოვებს, ქორქიას, დ. ლ. ლომაიას, მ. ს. სანიკიძეს, ვ. გ. ლუკიანოვას, ო. ფ. კრიაჩკოვას, ე. ფ. ეკკს, ა. ლ. კოკპრაძეს, ე. ს. კაჩიძეს, ტ. გ. კაბაჩნიკოვას, ტ. ს. ქუთათელაძეს, ე. დ. ხოფერიას, მ. ნ. კუნიას, ნ. დ. ად ა. დ. გუგუშვილებს, და ს. ი. რობერტს და ბატონთ: პ. ლ. ბუდზინსკის, ნ. გ. კირილოვიჩს, ი. გ. დიდიას, ვ. რ. მანდენოვს, გ. ი. მიქაბერიძეს, გ. დ. სარჯველაძეს, მ. ი. ქავჭანიძეს, ი. ა. გინსბურგს, ი. რ. ნოდიას, გ. ლ. ღოღობერიძეს, მათი დაუღალავი შრომისათვის, როგორც შემოწირულობათა შეგროვებაში, აგრეთვე სეირნობის დროს ბაღში, აგრეთვე ყველას, ვინც დაესწრო ლოტარეია-ალეგრის და მით ხელი შეუწყო კეთილი საქმის შესრულებას.

ლატარეია-ალეგრის მომწყობი, სამზრუნველოს წევრი კ. ა. ბაჟბეუკ-მელიქოვი.

◆

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

სპეციალური წიგნის მაღაზია
კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.
(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა**, სადაც მოიპოება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები



შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.

წოეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

ძმ. ედ. და პ. სააკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან).
ა. თაბაგარის მაღაზიაში.
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილობა. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.

სტამბა „ჯობა“, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.